ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება "№18/01-01 28.01.2015 წ.
დანართი №1

2015 წლის 23 თებერვლიდან 13 მარტის ჩათვლით ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ზამთრის სკოლისთვის მონაწილეების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ზამთრის სკოლაში
მონაწილეების შერჩევა.

2. მონაწილეების შერჩევა

მონაწილეების შერჩევა მოხდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. ზეპირი პრეზენტაცია (თურქულ ენაზე)
2. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

1. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს ზეპირი გასაუბრების შეფასებას.

ბ) კანდიდატის ზეპირი გასაუბრების შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის ზეპირი პრეზენტაცია შეფასებული იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

2. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ მონაწილეების შერჩევის გზით.